F) 1,2,3,4,5,6,7, მაგ-ში
F1059 № 8011
6

ხუთშაბათი
24
მარტი,
№ 8 1993 წ.

ჯიხა

საქართველოს
რესპუბლიკის
თავდაცვის
სამინისტროს 23-ე
მექანიზებული
ბრიგადის გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძე:

მადლობას ვუცხადებ სოხუმის ყველა დამცველს

17 მარტს დილით, საინფორმაციო პროგრამა „ალიონმა“ სოხუმიდან პირდაპირი ეთერით გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ. მასში, კერძოდ, საუბარია სოხუმში ბოლო დღეებში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებზე, ჩვენი საჯარისო შენაერთების საბრძოლო მოქმედებაზე, რომელთა თავდადებისა და გმირობის შედეგად შეტევაზე გადმოსული მტერი უკუგდებულია. 16 მარტს დღის მეორე ნახევარში ქართველმა მეომრებმა გაანადგურეს აფხაზ სეპარატისტთა და დაქირავებულთა რამდენიმე ჯგუფი და სერიოზული ზიანი მიაყენეს მათ. სერიოზული დანაკარგებია ქართველთა მხარესაც.

— როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მადლობას ვუცხადებ სოხუმის ყველა დამცველს, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ინტერვიუში. — ისინი, ვინც თავი გამოიჩინეს, წარდგენილი იქნებიან მთავრობის ჯილდოზე. მაგრამ, მთავარი ბრძოლა წინაა. ზოგიერთი პოზიცია ჯერ კიდევ არ დაგვიბრუნებია. სამობილიზაციო მზადყოფნა ძალაში რჩება, მივიღებთ თუ არა გადაწყვეტილებას საყოველთაო მობილიზაციის შესახებ, ნათელი გახდება დღეს ან ხვალ.

სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა მოსახლეობას, რომ ჩაბარონ იარაღი, რათა დაეხმარონ ჩვენს მეომრებს, რომლებსაც არ ჰყოფნით იგი.

— გუშინ, — თქვა შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — გავუგზავნე წერილი პრეზიდენტ ელცინს. ამ წერილის ტექსტი გამოქვეყნდება პრესაში. გუშინვე ტელეფონით ველაპარაკე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალს რეუტს. ვფიქრობ, შესაბამისი რეაქცია იქნება. და მაინც, ჩემის აზრით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივები ჯერ კიდევ არ არის დაკარგული. დღეს გაგრძელდა აქტიური ბრძოლა ჩვენი პოზიციების აღსადგენად. ღამემ შედარებით მშვიდად ჩაიარა, თუმცა ისევ ბომბავდნენ ქალაქს. განსაკუთრებით დაზიანდა ერთი მრავალსართულიანი სახლი, არიან დაჭრილები. თუ დაბომბვა გაგრძელდება, ჩვენ მივიღებთ საპასუხო ზომებს. მე ახლა არ მინდა, კერძოდ, ისინი დავაკონკრეტო, მაგრამ გუდაუთელებისათვის ეს კარგი არ იქნება...

დღესვე გაიმართება საგანგებო შეკრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კიტოვანი, იოსელიანი, ყარყარაშვილი, ნადარეიშვილი, კავსაძე და სხვები. სოხუმელებს გმირული განწყობილება აქვთ. ღამით, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, რეუტი დაუკავშირდა გრაჩოვს და დღეს ელოდება მისგან მითითებებს.

ლომგული ქართველი ვაჟკაცები

გენერალ-მაიორი
გენო ადამია,
საქართველოს რესპუბლიკის
თავდაცვის სამინისტროს
მეორე საარმიო კორპუსის
23-ე მექანიზებული ბრიგადის
მეთაური.

შვიდ თვეზე მეტია, ექსტრემისტ-სეპარატისტთა მიერ ქართველებისათვის პროვოკაციულად თავსმოხვეული ომი მიმდინარეობს აფხაზეთში. უკანასკნელ დრომდე ბრძოლებს, შედარებით ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, ჩვენ შემოტევებს მხოლოდ ვიგერიებდით. ბოლო პერიოდში რუსეთის რეაქციული ძალების შთაგონებით გააქტიურდნენ მოწინააღმდეგენი. მათ, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საკმაო რაოდენობით შემოიყვანეს გაწვრთნილი რუსი, ჩეჩენი, ადიღელი, ჩერქეზი და სხვა ჯურის დაქირავებული მკვლელები, შემოზიდეს რთული ტექნიკა და ემზადებოდნენ ფართო მასშტაბით შეტევებისათვის. ბუნებრივია, არც ჩვენ ვიყავით გულხელდაკრეფილი.

სოხუმსა და მის შემოგარენში, ოჩამჩირეში დისლოცირებული ქართველი მეომრებისა და მეთაურებისათვის ძალზე დიდი მამობილიზებელი ძალა, მორალურ-ზნეობრივი ამაღლება და სამართლიან საქმეში გამარჯვების რწმენა უფრო განამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მარტის პირველ რიცხვებში ჩამოსვლამ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ღრმად, ყოველმხრივ თავად შეისწავლა ადგილზე არსებული მდგომარეობა, მეომართა საბრძოლო მზადყოფნა, განწყობა. ესაუბრა მეომრებს, მეთაურებს, მოსახლეობას. მიიღო რა დაწვრილებითი ინფორმაციები ფრონტისა და ზურგის შესახებ, მეთაურთა ოპერატიულ თათბირებსა და შეხვედრებზე შეაჯამა, გააანალიზა არსებული ვითარება და დაგეგმა კონკრეტული ღონისძიებანი ორგანიზებულობის ამაღლებასა და მზადყოფნის აუცილებლობაზე.

ბოლო დროს გახშირდა რუსეთის სამხედრო, „აფხაზური“ თვითმფრინავების მიერ საბრძოლო პოზიციების, ქალაქ სოხუმის დაბომბვა, რამაც 15—16 მარტს ღამით მასირებული ხასიათი მიიღო და დაიწყო ფართო მასშტაბის შეტევითი ოპერაცია. შემოტევის დაწყების ღამეს ერთდროულად ამოქმედდნენ მოწინააღმდეგეთა ნაწილები ხმელეთიდან, ჰაერიდან, ზღვიდან და შესძლეს ჩვენი ზოგიერთი ქვეგანაყოფისათვის ალყის შემორტყმა.

გუდაუთაში „დამზადებული“ ჯავშან-კოსტუმებში ჩაცმულმა მტრის გაწვრთნილმა ჯარისკაცებმა გახსნეს ცეცხლი. პასუხად, ჩვენი ბრიგადის მებრძოლებმა — სოხუმისა და მისი შემოგარენის დამცველებმა, რომლებიც ძირითადად ქალაქ სოხუმისა და მისი მიმდებარე რაიონების ბიჭებითაა დაკომპლექტებული, ჯერ არნახული ბრძოლის მაგალითები უჩვენეს მომხდურთ. ისინი, როგორც ჩვენი წინაპრები, ვეფხვივით იჭრებოდნენ მტრის დაჯგუფებაში, სანგრებში, სახლებში და სიცოცხლის დაუზოგავად მუსრს ავლებდნენ იერიშზე გადმოსულთ.

შეტევის დაწყებიდან 2—3 საათის განმავლობაში პირდაპირ ხერხემალი გადაუმტვრიეს მტრის ძალებს, ისიწი დაბნიეს ჩვენი მეომრების ცეცხლმა, დაკარგეს ორიენტირი, არის იმისი მაგალითიც, რომ მტრის ნაწილები ერთმანეთს ესროდნენ უკუნით ღამეს. დაიწყეს უკან დახევა. ამასობაში, მათდა საუბედუროდ, თენდებოდა და დაიწყეს თავშესაფარის ძებნა, გუდაუთისკენ გაქცევა, ტყვედ არ გვეხებდებოდნენ, წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მაგრამ გზა გადაკეტილი ქონდათ და მიიმალნენ სოროებში, ტყეებში ციტრუსოვანთა პლანტაციებში, მათთვის წინასწარ ცნობილ საცხოვრებელ სახლებში, წარმოება-დაწესებულებათა შენობებში და იქიდან ისროდნენ.

ბრძოლის ველზე ენით აუწერელი, თავგანწირული ბრძოლის მაგალითები უჩვენეს ჩვენი ბრიგადის ლომგულმა ვაჟკაცებმა. ამ შეტაკების მონაწილე ყველა ქართველი ნამდვილი რაინდი და გმირია.

ჩვენ გვაქვს უამრავი მაგალითი იმისა, რომ ქართველი მეომრები, მეთაურები ვეფხვივით ეკვეთებოდნენ მტერს, უშიშრად იჭრებოდნენ აფხაზთა და მათ დაქირავებულ მკვლელთა დაჯგუფებებში, თვითონ იღუპებოდნენ, მაგრამ ანადგურებდნენ მომხდურთ.

აი, ზოგიერთი მათგანიც:

ბატალიონის უფროსის მოადგილე მაიორი იურა ომანაძე (ზემო კელასურიდან) ერთ სახლში დამალულ ათეულობით მტერს შეუვარდა, ცეცხლი გახსნა და ვინ იცის რამდენს დაუბნელა თვალები, ბრძოლაში თვითონ ლოგიეთ დაეცა, მაგრამ მის ძმადნაფიც ბიჭებს შესაძლებლობა მისცა ერთიანად ამოეწყვიტათ სამტროდ მოსულნი.

იურას მეზობელმა (სოფელ აკაფიდან) ბატალიონის უფროსის მოადგილემ ტარიელ (გია) შამუგიამ. ვინ იცის რამდენ აფხაზს და გადამთიელს მოუსპო სიცოცხლე. ბრძოლის ბოლო მომენტში მტრის მეომართა ჯგუფში მოხვდა, ტყვედ აყვანა შესთავაზეს, პასუხად ხელყუმბარით თავი აიფეთქა, გვერდით კი მის მიერ დახოცილი მტრის ოთხი გვამი ესვენა.

ბრძოლებში დაიჭრნენ ბატალიონის უფროსის მოადგილეები ალმზრდელობითი მუშაობის დარგში გიორგი ფანჩვიძე, დიმა მჭედლიძე, თენგიზ დარცმელია.

ტრაგიკულად დაგვეღუპნენ ოფიცრები: ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი შოთა შარტავა, ბესიკ ბერია და სხვები. მათ სახელებს ჩვენი ბრიგადის მებრძოლები, მეგობრები, მთელი ქართველი ხალხი არასდროს დავიწყებს, მათი რაინდობა მოგვალ თაობებს ლეგენდებად გადაეცემათ.

პირადად ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ის, თუ რა დევგმირი ვაჟკაცები გვყოლია ბრიგადაში. განუმეორებელი ბრძოლის მომენტები უჩვენეს მტერს ნონა მურღვლიანმა, რეზო სიმონიშვილმა, ლერი ასლანიკაშვილმა, თენგიზ ადამიამ, ძალზაზ ქვაჭრელაშვილმა, შოთა ჩალაძემ, რეზო ჯაჭკლიანმა, მურმან გუგუსიანმა, ვასილ გერაშჩენკომ, გურჯი და შოთა კოპალიანებმა, ავთანდილ თოდუამ და მრავალმა სხვამ.

დაღუპულთა ჭირისუფლის სანუგეშებლად, სადაც შეძელით, ვიყავით, გარდაცვლილთა მშობლების დიდ მწუხარებასა და სინანულთან ერთად ვნახეთ ქართული შემართებაც. მშობლები უზომოდ შეწუხებულნი კაცურ-კაცობას არ კარგავენ სამშობლოსათვის შეწირული შვილების გამო. ნახობენ, რომ მათი ვაჟიშვილები ვერ მოესწრნენ დაზავების დღეს, მამები, ძმები გვთხოვენ, შვილის, ძმის იარაღი მათ მივცეთ და იბრძოლებენ საბოლოო გამარჯვებამდე. ასეთი გული მხოლოდ მამულის დამცველებს აქვთ.

ყველამ იცოდეს, მათ შორის პირველ რიგში მტრებმა, რომ გუდაუთელ ხელისუფალთა ამ ფართო მასშტაბის შეტევაში გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ ქართველები უხსოვარი დროიდან კუთვნილ მამულს იცავენ — ჩვენი იარაღი ჩვენი სამართლია. სამარლიან ბრძოლას დამარცხება არ უწერია.

„აფხაზური დემოკრატიის“ მოძღვარებმა, ყველგან და ყველაფერში ნღობადაკარგულმა ვ. არძინბამ და მისმა „მრჩეველმა“ თანამზრახველებმა, რომლებიც ნამდვილი დემოკრატიის წინააღმდეგ იბრძვიან და სახარბაზნე ხორცად აქტიეს, პირველ რიგში საკუთარი, მცირერიცხოვანი, მათ მიერ დატანჯულ-გაწამებული აფხაზი ხალხი, უნდა იცოდნენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქართველები იცავენ საკუთრივ აფხაზების და გაფხაზებული ხალხის ინტერესებს. დღემდე, გარდა 15 მარტიდან დატრიალებული ტრაგედიისა, ჩვენ არ გვიჩვენებია ნამდვილი ბრძოლა, წინა პოზი-

დასასრული მე-2 გვ.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირადი შემადგენლობა

ღრმა მწუხარებით, დიდი გულისტკივილით იუწყება აფხაზ ექსტრემისტთა მიერ ქართველებისათვის პროვოკაციულად თავს მოხვეულ ომში ორივე მხარეს ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდობის, ხმელეთიდან და ჰაერიდან ნასროლი ჭურვებითა და ბომბით მშვიდობიანი მოსახლეობის — ბავშვების, ქალების, ჭაბუკებისა და მოხუცების დაღუპვას.

ა. წ. 15 მარტიდან აფხაზი ექსტრემისტები რუსეთის რეაქციული ძალების შთაგონებით და რჩევით, დაქირავებულ გადამთიელთა დახმარებით უაზრო და უპერსპექტივო იერიშზე გადმოვიდნენ, რამაც ორივე მხარეს ბევრი მეომრისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა.

23-ე მექანიზებული ბრიგადის პირადი შემადგენლობა თანაუგრძნობს დაღუპულთა ჭირისუფლებს, ახლო ნათესავებს და აღუთქვამს მათ, რომ ბრიგადის შემადგენლობა მუდამ გვერდით იქნება თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ერთიანი, ბედნიერი საქართველოს მშენებლობისათვის ბრძოლისა და გარჯის გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიკური ქართველი ვაჭაცები

(დასასრული)

ციებზე შევხერდით. შეგვეძლო დამარცხებული მტრის წინააღმდეგ კონტრშეტევაზე გადასვლა და მთელ აფხაზთა განადგურება გარანტირებული იყო. ახლა მაინც გიგეთ, რომ ბორიტებას ბორიტებით არ ვპასუხობთ. ჩვენ გვაქვს იმდენი და ისეთი ტექნიკა, გვყავს მოხალისეთა სახალხო ლაშქარი, გაწვრთნილობით რეგულარული ჯარის დონემდე აყვანილი, რომ ორ დღეში ფსოუს ნაპირებთან ვიქნებით, მაგრამ არ გვინდა აფხაზთა გაწყვეტა.

სოხუმის მცხოვრებთან დატრიალებულ ტრაგედიაში გუდაუთელთა ჯარში ყოველი მეხუთე იყო აფხაზი, ძირითადი ნაწილი კი, აფხაზთა სახელით, კბილებამდე შეიარაღებული გაწვრთნილი რუსები იყვნენ. ამ შეტევაში ქართველებმა ფაქტიურად რუსის ჯარი და მისი პოლიტიკა დაამარცხეს.

ყველამ იცის და ნუთუ დღემდე ვერ შეიგნო გუდაუთის მთავრობამ თუ რა უბედურება, ტრაგედია დატრიალეს საქართველოს აფხაზურ მხარეში. დღეს ერთმანეთს ტყვიას ესვრიან გოგუები, კვარაცხელიები, საქანაები, ძიძარიები, ლადარიები, კობახიები, კორტაევები, ახვლედიანები, თაყაიშვილები, ნოზაჯეები, ჟვანიები და... ერთი გვარის, სისხლით და ხორცით ნათესაები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ერთად გაზრდილი ძმადნაფიცი მეგობრები და მეზობლები.

აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ აფხაზეთის ქართველობა და აფხაზები გრძნობდნენ ამ მოსალოდნელ ტრაგედიას. ხალხი ბრძენია და შეუცდომელი. ბოლო ათწლეულებში ერთი გვარის ქართველებმა და აფხაზებმა დაიწყეს ერთმანეთის ძებნა-გაცნობა, რაც სახალხო შეკრებაში, პერ-მარილში გადაიზარდა. ასეთმა შეხვედრებმა სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღო. იკრიბებოდნენ აფხაზეთში, ინგურს გაღმა-გამოღმა. იყო ზეიმი რუხში ქართველთა და აფხაზთა ჯიხაში — გალავანშემოვლებულ სიმაგრეში. ერთმანეთს ხვდებოდნენ ქართველი და აფხაზი ლადარიები, ლომიები, შანავები, მებონიები, ფიფიები, ბარამიები, ნარმანიები, შონიები, გოგუები, მიქაიები და სხვა გვარის ერთი მოდგმის ადამიანები. ისინი გამოხატავდნენ თავიანთ სიყვარულს, ძმობდნენ...

აფხაზთა და ქართველთა სიყვარული არ უნდოდათ აფხაზთა ამბიციურ-მოინტელიგენტო ნაწილს, რადგანაც იღვიძებდა ეროვნული ტრადიციები, გრძნობა, ხალხთა შეკავშირება, ურთიერთ სიყვარული.

გუდაუთიდან გადმოსული, დახოცილი აფხაზები და გადამთიელები 21 მარტს უნდა დაგვესაფლავებინა და დავთქვით ცეცხლის შეწყვეტა. ჩვენი მეომრები შეუდგნენ მკვდართა შეგროვებადაკრძალვას. ამ დროს ზემო ეშერიდან სატანას ხელით სნაიპერმა ისროლა და ერთ რაინდ ქართველს სიცოცხლე მოუსწრაფა.

ღმერთს განდგომილნო და კაცთმოძულენო სეპარატისტებო! მაცდურობა, სიტყვის გატეხვა, ავკაცობა არასდროს არავის არ შერჩენია, არც მკვლელებს შერჩებათ.

აფხაზთა ინტერესებს, ეროვნულ თვითმყოფადობას მხოლოდ და მხოლოდ ქართველები, საქართველო იცავს, ნუ აყვებით ცდუნებას, მოიკრიბეთ გონება, ვითარებას რეალურად შეხედეთ, თორემ გვიან იქნება.

იცოდეთ, საქართველო დაუმარცხებელი ქვეყანაა, რადგანაც ყოველთვის სიმართლეს იცავდა და აღიარებულია ცივილიზებული მსოფლიოს მიერ. ჩვენი წამოჩოქება არავის არ შეუძლია. მთელი საქართველო აღმდგარია საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ქუდზე კაცია გამოსული.

გონს მოდით, შესდექით, მოთმინებას აქვს ზღვარი და დასასრული.

აფხაზ მეომრებს

ჩვენთვის გარედან თავსმოხვეულმა ძმათამკვლელმა ომმა, რომელიც ნახევარ წელზე მეტია გრძელდება, ჩვენს ხალხს მოუტანა დიდი მწუხარება და წამება. იღუპება ხალხი — ახალგაზრდა, მოხუცი, ინგრევა ქალაქები და სოფლები. ვვესმის რა მთელი ტრაგიზმი და შემდგომში სამხედრო დაპირისპირების უპერსპექტივობა, საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის მეთაურთა და პირადი შემადგენლობა შოგიწოდებთ თქვენ — აფხაზ მეომრებს და თქვენს მოკავშირეებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ საომარი მოქმედება.

ჩვენ, ქართველები და აფხაზები, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ხალხები, ნათესაურად და გმირული წარსულით ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, დღეს აღმოვჩნდით სასტიკი გამოცდის წინაშე — ერთმანეთის წინააღმდეგ აღვმართეთ სასიკვდილო იარაღი. ყველა ომი უზნეობაა. ამ ომში ძმა კლავს ძმას, მეგობარი კლავს მეგობარს, მეზობელი — მეზობელს. იგი მთელ თაობას აღტაკებს სულიერად. ნუთუ ჩვენთვის არაფერს ნიშნავს ჩვენი დედების, დების ცრემლი, მთელი თაობის დაღუპვა.

წინასწარ, შეგნებულად ჩავიდეთ თავი სისხლისმღვრელ ჭურაში, ჩვენ შეგნებულად, თვეობით გავაჭიანურეთ ომი, მაგრამ არ დავუშვებთ ომის შემდგომ ესკალაციას. იყავით დარწმუნებულნი, ქართველ სარდლობას აქვს შესაძლებლობა ყოველ მომენტში დაიწყოს ფართო შეტევითი ოპერაციები და თავისი კონტროლი დაწესოს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ამას არ აკეთებს მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებით — გაურბის ზედმეტ სისხლისღვრას. ადამიანთა ჟლეტას. ამასთან ერთად ყოველგვარ მოთმინებას აქვს დასასრული.

შეჩერდით! გაისაზრეთ! რისი სახელით გიბიძგებენ უაზრო და უპერსპექტივო ხოცვისათვის. დაიხსომეთ, ისტორია არ გვაპატიებს ჩვენ ამას. სჯობს გვერდზე გადავდოთ იარაღი და დაუყოვნებლივ შევუდგეთ ჩვენს ხალხებს შორის დანგრეული ხიდის აღდგენას.

ხაქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის მეთაურთა და პირადი შემადგენლობა.

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრის

ცნობა

17 მარტს დილიდან გაგრძელდა გაწმენდითი ოპერაციები მდინარე გუმისთის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილი მოწინააღმდეგის მცირერიცხოვანი ჯგუფებისგან და შუადღისთვის ტერიტორიების გაწმენდა პრაქტიკულად დამთავრდა.

დღის განმავლობაში სოხუმის თავზე კვლავ რამდენჯერმე გამოჩნდნენ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები, თუმცა ამჯერად მათ ქალაქი არ დაუბომბავთ.

13 საათისათვის სოხუმის შუქურას რაიონს ზღვიდან მიუახლოვდა მოწინააღმდეგის გემი, რომელსაც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გაუხსნეს ცეცხლი და ჩაძირეს.

შუადღისათვის მოწინააღმდეგემ სცადა სოხუმის დაბომბვა, მან ქალაქის მიმართულებით გამოისროლა რამდენიმე საარტილერიო ჭურვი, მაგრამ მათი საცეცხლე წერტილები დაუყოვნებლივ იქნა ჩახშობილი.

საღამოს საათებში მოწინააღმდეგემ დაიწყო მძიმე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია ქვემო ეშერის მიდამოებში, მოგვიანებით მოწინააღმდეგის აქტიურობა შესამჩნევი გახდა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს სრული საბრძოლო მზადყოფნა. ამავე დროს ფრონტის ცალკეულ მონაკვეთებზე მიმდინარეობდა საკმაოდ ინტენსიური პოზიციური ბრძოლები, სადაც მოწინააღმდეგე იყენებდა ტყვიამფრქვევებს, ყუმბარმტყორცნებს, ნაღმსატყორცნებს, ქართველი მეომრები მოწინააღმდეგის ცეცხლითვე პასუხობდნენ.

ღამის 3 საათიდან მოწინააღმდეგე რამდენჯერმე გადმოვიდა შეტევაზე და სცადა გუმისთის გადმოლახვა, მაგრამ მათი შეტევები სრული მარცხით დამთავრდა, მოწინააღმდეგემ ართუ გუმისთის გადმოლახვა, მის ნაპირთან მოახლოებაც ვერ შესძლო.

* * *

18 მარტს დღის პირველ ნახევარში სოხუმის თავზე რამდენჯერმე გამოჩნდნენ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები, მათ მაღალ სიმაღლეზე შემოუფრინეს ქალაქს, მაგრამ დაბლა ჩამოსვლა და იერიშის მიტანა არ უცდიათ.

ნაშუადღევს შუქურას რაიონთან ზღვიდან გამოჩნდა მოწინააღმდეგის გემი, რომელიც ნაპირს არ მიახლოებია და მალევე გაბრუნდა ახალი ათონის მიმართულებით.

მდინარე გუმისთაზე მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საკმაოდ აქტიური პოზიციური ბრძოლები, მოწინააღმდეგე იყენებდა როგორც არტილერიასა და მძიმე ტექნიკას, ასევე ყუმბარმტყორცნებსა და მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს, საქართველოს შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეს ცეცხლითვე პასუხობდნენ და თანმიმდევრულად ახშობდნენ მათ საცეცხლე წერტილებს.

17 საათისათვის შემჩნეულ იქნა ახალი ათონის მხრიდან მომავალი მძიმე სატვირთო ავტომანქანების კოლონა, რომელიც ეშერის მიმართულებით მოემართებოდა. არტილერიის ზუსტი ცეცხლით ექვსი ავტომანქანიდან ოთხი განადგურებულ იქნა.

21 საათისათვის ბაბუშარასა და აგუძერის მიდამოებში ზღვიდან გამოჩნდა ორი გემი, რომლებიც ცდილობდნენ ნაპირთან მოახლოებას, ამავე დროს გემებიდან ნაპირის მიმართულებით გახსნეს ცეცხლი. საქართველოს შეიარაღებული ძალების სანაპირო დაცვის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს ცეცხლითვე უპასუხეს, რის შედეგადაც გემები ღია ზღვაში მიიმალნენ.

ღამემ გუმისთაზე საკმაოდ მშვიდად ჩაიარა, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ეპიზოდურ ორმხრივ სროლას, იშვიათად — არტილერიის გამოყენებით.

19 მარტს დილის 5 საათისათვის ჩვენი პოზიციებისა და ქალაქის თავზე გამოჩნდა რუსეთის ამოსაცნობი ნიშნების მქონე სამხედრო თვითმფრინავი „სუ-27“, რომელიც ასრულებდა საბრძოლო გაფრენას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდაცვის ნაწილების მიერ თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა სოფელ შრომის მიდამოებში, მფრინავი აღმოჩნდა მაიორი შიპკო, რომელიც დაღუპა, (წინა ნომრის ინფორმაციაში დაღუპული მფრინავის გვარი არასწორად იყო გადმოცემული. რისთვისაც გიხდით ბოდიშს).

მდინარე გუმისთაზე დღის განმავლობაში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. ადგილი ჰქონდა ეპიზოდურ ორმხრივ სროლას.

* * *

20 მარტს 3 საათისათვის სოხუმს ზღვიდან მოუახლოვდა მოწინააღმდეგის გემი, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალების სანაპიროს დაცვის ნაწილებმა გაუხსნეს ცეცხლი და პირდაპირი მოხვედრით მწყობრიდან გამოიყვანეს.

გამთენიისას მოწინააღმდეგე გააქტიურდა მდინარე გუმისთაზე. ქვემო ეშერაში საბრძოლო პოზიციებზე გამოიყვანა ქვეითთა საბრძოლო მანქანა და დაიწყო სროლა ჩვენი პოზიციების მიმართულებით. მცირე ხნის შემდეგ უყუმბარმტყორცნის ზუსტი გასროლით საბრძოლო მანქანა აღგილზევე იქნა განადგურებული.

13 საათისათვის მოწინააღმდეგემ გახსნა ნაღმსატყორცნების ცეცხლი, ამავე დროს ქვემო ეშერაში მდებარე ჭიანმოლოკურა ლაბორატორიის ხიახლოვეს საბრძოლო პოზიციაზე გამოიყვანა ტანკი და დაიწყო სროლა. საბაბუხონ საარტილერიო ცეცხლით მოწინააღმდეგის საბრძოლო წერტილები ჩახშობილ იქნა.

იმავე დღესვე სოხუმში შესდგა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლთა შეხვედრა აფხაზთა წარმომადგენლებთან. ქართული მხარე დათანხმდა აფხაზთა თხოვნაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 20 მარტის 24 საათიდან 21 მარტის 18 საათამდე, რათა ამ ხნის მანძილზე საბრძოლო მოქმედებათა ზონაში მომხდარიყო დაღუპულთა მოძებნა.

საღამოს საათებში მოწინააღმდეგემ დაიწყო ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის მასშტაბური კონცენტრაცია ეშერის მიდამოებში, ხოლო 21 საათისათვის გადმოვიდა შეტევაზე აჩადარის მიდამოებში. დაკიდული ხიდის მონაკვეთში მათ შეძლეს მდინარე გუმისთის გადმოლახვა და ჩვენს პოზიციებთან მოახლოება, მაგრამ არტილერიისა და ავტომატური იარაღის ცეცხლით მათი მოწინავე, შემტევი ჯგუფი აღგილზევე იქნა განადგურებული. დანარჩენები კი პანიკურად უკან გაიქცნენ. ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ ყოფილა.

ღამით აეუძერის რაიონში გამოჩნდა მოწინააღმდეგის გემი, რომელმაც გახსნა ცეცხლი. ხაქართველოს სანაპირო დაცვის ნაწილებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს და აიძულეს ის ღია ზღვაში მიმალულიყო.

ღამემ მდინარე გუმისთაზე გამავალი ფრონტის ხაზზე მშვიდად ჩაიარა.

* * *

21 მარტს მდინარე გუმისთაზე სრული სიმშვიდე იყო შენარჩუნებული, მოქმედებდა შეთანხმება ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარემ პირობა დაარღვია და 16 საათისათვის, როდესაც ჩვენი მეომრები გუმისთის მარცხენა ნაპირზე ეძებდნენ მოწინააღმდეგის დაღუპულ მეომართა დარჩენილ გვამებს, აფხაზთა სნაიპერის ტყვიით ერთი ჩვენი მებრძოლი დაიღუპა. ღამემ მდინარე გუმისთაზე გამავალ ფრონტის ხაზზე მშვიდად ჩაიარა. აქტიურ საომარ მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია.

* * *

22 მარტის დღემ მდინარე გუმისთაზე მშვიდად ჩაიარა, საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია, 21 საათისათვის მოწინააღმდეგემ დაიწყო მძიმე ტექნიკის გადაადგილება ეშერის მიდამოებში, ცოტა მოგვიანებით კი ლაბორატორიის სიახლოვეს გამოიყვანა ტანკი და დაიწყო სროლა ჩვენი პოზიციების მიმართულებით, საქართველოს შეიარაღებული ძალები იძულებულნი გახდნენ გაეხსნათ საპასუხო საარტილერიო ცეცხლი და ჩაეჩუმებინათ მოწინააღმდეგე.

იმავ დღესვე ზღვის სანაპიროსთან შემჩნეულ იქნა წყალში მოტივტივე აფხაზ ბოევიკთა გვამები, მათ ეცვათ მაშველი ჟილეტები და როგორც ჩანს, წინა დღეებში ჩაძირული კატარღებიდან თავის დაღწევას ამ გზით ცდილობდნენ.

ღამემ მდინარე გუმისთაზე ძირითადად მშვიდად ჩაიარა, თუმცა ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო ხასიათის პერიოდულ ბრძოლებს ავტომატური იარაღით.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, დღე-ღამის განმავლობაში მნიშვნელოვანი საბრძოლო მოქმედებები აქ არ მომხდარა, ხაბრძოლო პოზიციების სხვადასხვა მონაკვეთში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის პოზიციურ ბრძოლებს.

23 მარტს, დილით მდინარე გუმისთაზე სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. 11 საათისათვის კი მოწინააღმდეგემ კვლავ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ, სოფელ ამბარასთან საბრძოლო პოზიციაზე გამოიყვანა მძიმე ტექნიკა და გაუხსნა ცეცხლი შრომა-კამანის მიმართულებით არსებულ ჩვენს პოზიციებს. ხაქართველოს შეიარაღებული ძალები იძულებული გახდნენ ცეცხლითვე ეპასუხათ, რის შედეგადაც მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკა იძულებული გახდა საბრძოლო პოზიციები ლაეტოვკინა და უკან დაეხია.

ამის შემდგომ ფრონტის ხაზზე ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული, ადგილი ჰქონდა ავტომატური იარაღის იშვიათ ორმხრივ სროლას. ღამემაც მშვიდად ჩაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგედია სოხუმის მისადგომებთან

მოგვითხრობენ ფრონტის წინახაზის მებრძოლები

ფრონტის წინახაზზე

ამა წლის 15-16 მარტს ღამეს 23-ე მექანიზებული ბრიგადის შტაბში მოგვიწია მორიგეობამ. მუდმივი კავშირი გვქონდა ბატალიონებისა და სველე შტაბების მორიგეებთან და ვიცოდით ფრონტის, ცეცხლის ხაზზე არსებული მდგომარეობა. ყველას თავში ერთი აზრი გვიტრიალებდა, რომ მოსულიყვნენ შემცველები და გავსულიყავით ცეცხლის ხაზზე.

შემცველებიც მოვიდნენ, შტაბში სიხალვათე იყო, იანალთი ფრონტის წინახაზზე წასულიყვნენ. ეზოში გავედი, აქ დამხვდნენ ღამენათევი მორიგე მეომრები თენგო კოზმავა და დათო ლომიძე. უთქმელად მივუხვდით ერთმანეთს და სწრაფად წავედით პირველი ბატალიონის სველე შტაბისაკენ.

ჩვენსაკენ აქ ბევრი მეომარი მოსულიყო თამარ მეფის ქუჩიდან, ბიჩვინტიდან და აბეაყვიდან, შემოგვიერთდნენ ადგილობრივი აჩადარელი ბიჭები.

პირველი ბატალიონის შტაბის უფროსმა, გამოცდილმა მეომარმა მურმან ხარაიშვილმა გამწმენდ ჯგუფებად დაგვყო და უფროსები მიგვიჩინა. სასტიკად და მკაცრად გაგვაფრთხილა — საკმაო რაოდენობით გადმოვიღნენ ღამით აფხაზი ბოევიკები, როგორც კი ირიერაკა, ისინი პლანტაციებში, სოროებში, ხახლებსა და წარმოება-დაწესებულებების საამქროებსა და სხვა აღგილებში მიიმალნენ. უკან გაბრუნებელი გზა მოჭრილი აქვთ და დაღამებას ელოდებიან, რომ გაქცევით უშველონ თავს. ძალიან ფრთხილად, ვაჟკაცურად და უშიშრად იყავით. ყველა ჯგუფს აფხაზი ბოევიკებისაგან გასაწმენდი ადგილები მიგვიჩინა.

ჩვენს ჯგუფს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და აჯიკის ფაბრიკის მიხადგომების, შენობის გაწმენდა დაეკალა. ჩასაფრებულ მტერთან შეტაკინება ადვილი არ არის, მაგრამ გამოცდილებით ვიცით, რომ აფხაზი ბოევიკები ფრთხილი და მშიშარანი არიან, თანაც რაგინდ ვაჟკაცნიც არ უნდა იყვნენ, უხამართლო ომს ეწევიან და ბუნებრივად მხდალნი ხდებიან.

ასედაც მოხდა — როგორც კი შეუახლოვდით საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის საამქროებს, გაისმა უმისამართო, გაბნეულ პირთა ხროლა. ჩვენც მოვემზადეთ თავლის დაჩამრიამებაში. ცეცხლს მასირებული ცეცხლით ვუპასუხეთ და სამი ბოევიკი — აფხაზი, რუსი და სომეხი გამოვასვენეთ თავსაფარიდან. ასეთივე წინააღმდეგობას წავწყდით სხვა საამქროს მიახლოებისას. ამ დროს ფერდობიდან დაგვიშინეს ცეცხლი სნაიპერიდან, ტყვიამფრქვევიდან და საპასუხო ცეცხლით ისინიც ჩავაჩუმეთ...

დღის პირველი საათისათვის სამხედრო ოპერატიული დავალება შეასრულეთ. დღის მეორე ნახევარში თენგომ, დათომ და მე კავშირი აღვადგინეთ ფრონტის პოზიციებსა და სველე შტაბს შორის, ამასობაში მოვიდნენ სამხედრო პოლიციელები, გამოცდილი მეომრები და სახელდახელოდ ჩაებნენ ბრძოლაში.

ყველამ ვიბრძოლეთ სამართლიანი საქმისათვის — მამულის ტერიტორიული ერთიანობისათვის და პირველი მძაფრი შეტაკება მოვიგეთ. ასე იქნება მომავალშიც.

ბადრი ძარია,
23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის მოადგილის, ალმზრდელობითი მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე.

მოგზღურები გავსრისეთ

ომის დაწყების პირველ დღეებში დაკომპლექტდა ჩვენი ოცეული, რომლის შემადგენლობაში ძირითადად ბირცხელი ბიჭები არიან. მშვიდობიანობის დროს ჩვენ ერთად კვრომობდით, ომის დროსაც ყველანი ერთად ვართ და ვიცავთ საკუთარ მამულს. ფრონტის წინა ხაზზე, ჩვენს გვერდით ბალმარანელი ბიჭები დგანან. მათდა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ერთ მუჭად არიან შეკრულნი და მტერთან ბრძოლაში თავი ისახელეს.

16 მარტს, როგორც ყოველთვის, ჩვენი ოცეულის ბიჭების ნაწილი გუმისთისპირა სანგრებში იყო, დანარჩენები უკანა პოზიციებზე იდგნენ. შემოღლაზე გასულმა მორიგემ სლავიკ რუსიანმა გვაცნობა, აფხაზები სიმღერით და ხმაურით უახლოვდებიანო ჩვენს პოზიციებს. ამასობაში ბალმარანელებმა დაგვრეკეს, რომ მტერს ჩვენი ალყაში მოქცევა უნდათ.

ოთხი საათი არ იყო შესრულებული, რომ გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ფინა ხაზზე იყო ქალაქ სოხუმის ახალი რაიონიდან ვასილ გერაშჩენკო, რომელმაც მტერი ახლოს მიუშვა, ზედიზედ რამდენიმე ხელყუმბარა ტყორცნა და ყველა მიზანში მოახვედრა — რამდენიმე აფხაზი ბოევიკი და მათი დამხმარე რუსი, სომეხი თუ ყაბარდიელი ისე გამოასალმა სიცოცხლეს, რომ ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ.

ამასობაში ყველა ჩვენი მეომარი თავის ადგილზე იყო და მასირებული ცეცხლი გავუხსენით მტერს. ბუნებრივია, ისინი ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ და გაქცევით უნდოდათ თავისთვის ეშველათ, მაგრამ თენდებოდა და ამას ვერ ახერხებდნენ. ამ მომენტში, ყველა ჩვენი მებრძოლის გულის დასაწყვეტად, მოგვიკლეს ვასილ გერაშჩენკო. ჩვენთვის საყვარელი პიროვნების დაღუპვამ გაიორკეცა ბიჭების ბრძოლისუნარიანობა და მტერს ისევი დღე დავაყენეთ, რომ ფეხზე არცერთი არ იღგა. ვინც მოკალით მინდერად ეყარა, დანარჩენებმა თავი შეაფარეს ხაკოლმეურნეობათაშორისო საამშენებლო ორგანიზაციის ხაამქროებს.

ჩვენი მეომრები ფეხდაფეხ მიხდევდნენ მოწინააღმდეგის დარჩენილ ძალებს, რომლებიც თაგვებივით ძვრებოდნენ სოროებში, მაგრამ... დილის რვა საათისათვის ალყა გარდვეული იყო და შეეუერთდით ჩვენი ბატალიონის სხვა ქვეგანყოფილებს.

ერთიანად, ყველა მეომარი თავდაუზოგავად იბრძოდა. განსაკუთრებული მამაცობა ვამჩნიეთ ჩინეს ვლადიმერ ხარაიშვილმა, ვიაჩესლავ რუსიანმა, ანატოლ არაბინსკიმ, ხაშურელმა მალხაზ მელაშვილმა, ქუთაისელმა მამუკა ბერლიშვილმა, კონსტანტინე ხოინდიმ, ემზარ ტაბატაძემ, რომან ქობალიამ და სხვებმა.

ბრძოლაში დაიჭრნენ ბადრი ლომაძე, მალხაზ ხარაიშვილი და ავთანდილ მიქელაძე. დაგვიღუპა გურამ ფანჩვიძე. აფხაზთა და გადამთიელთა ჯგუფმა ვერ შეძლო უკან დაბრუნება; ტყვედ არ გვნებდებოდნენ და ვატარებდით მათგან ჩვენი პოზიციის გაწმენდას. ერთ-ერთი გაწმენდითი ოპერაციის დროს, 19 მარტს, დილით ერთ-ერთ ხაამქროში ღამალულმა მტრებმა მოგვიკლეს საუკეთესო მებრძოლი ზაურ გურჩიანი. ჩვენმა ბიჭებმა მაშინათვე გაანადგურეს სამი მოხალისე — აფხაზი, სომეხი და რუსი.

დეიცოდნენ აფხაზ სეპარატისტთა ჯარისკაცებმა, რომ ისინი, თუ გონს არ მოვლენ, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლოდ სიკვდილს მოიმკიან.

გონდო ფანჩვიძე,
პირველი ბატალიონის მე-2 ასეულის მე-2 ოცეულის მეთაური.

ცეცხლს — ცეცხლით

გამხეცებულ მტერს ყოველთვის მზად უნდა ხვდებოდე. ფრონტზე სიფხიზლე და სიმამაცე გადამწყვეტია. ამ თვალსაზრისით პირველი ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური კახა კოპალიანი მისაბაძი პიროვნებაა. ის სისტემატურად ამოწმებს არა მარტო ოცეულებისა და ათეულების, არამედ როგორი ჯარისკაცების საბრძოლო მზადყოფნას. ტერიტორიის ის მონაკვეთი, სადაც ჩვენი ქვეგანყოფილია განლაგებული, 15 მარტს ღამით მოულოდნელად ალყამემორტყმული აღმოჩნდა აფხაზი ბოევიკებისა გადამთიელი, დაქირავებული რუსების მიერ.

ასეულის მეთაური ერთი წუთითაც არ დაბნეულა და ოცეულების მეთაურებს კონკრეტული დავალება მოგვცა — დაგვეკავებინა ჩვენ-ჩვენი ადგილები და მოგზღურები, როგორც კი ცეცხლს გახსნიდნენ, ჩვენ მასირებული ცეცხლით გვეპასუხა. პირველი ბრძოლები ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა და მიუხედავად მტრის ძალების სიმრავლისა, შემოტევა მოგერიებულ იქნა.

კახა კოპალიანი სისტემატურად გვიკავშირდებოდა და გვიბრძანებდა თუ რომელი მიმართულებით გაგვეძლიერებინა ცეცხლი. ბრძოლის მიმდინარეობიდან ცხადი იყო, რომ მოწინააღმდეგე ძალები სუსტდებოდა და არ შესწევდა უნარი გაგვმკლავებოდა.

ჩვენი ბიჭები თავიანთ ხაგუშაგოზე მტკიცედ იდგნენ და არცერთის სახეზე შიშის ნატამალიც არ ჩანდა და თავის მხედრულ ვალს სამშობლოს წინაშე ვაჟკაცურად იხდიდა.

ფრონტზე ყველა მეომარი გმირია. როცა სიკვდილს თვალებში უყურებს, ყოველი ჯარისკაცი იმის ცდაშია, რომ მტერს დაუბნელოს თვალები, თუ არა შენ გამოგასალმებენ წუთისოფელს. სხვა საქმეა, როგორ წარმართავ ბრძოლას, როგორ განსაზღვრავ მოწინააღმდეგე ძალების საწინააღმდეგო მოქმედებას და ურტყამ მიზანში. ამ მხრივ განსაკუთრებით ქების ღირსნი არიან თამაზ ბენდელიანი, ჯემალ ხურცილავა, გოდერძი კოპალიანი. ალიკა მამარდაშვილი და სხვები.

ჩვენი თანამებრძოლი გურჯი კოპალიანი თავს ცუდად გრძნობდა და საავადმყოფოში იწვა. 16 მარტს, გაუგია მტრის ჩვენს პოზიციებზე შემოტევა. საავადმყოფოდან გამოპარული და პირდაპირ ჩვენსკენ წამოსულა. მასთან ერთად მოდიოდნენ სხვა ვაჟკაცი მებრძოლები. გზად მომავლებს რამდენიმე მოწინააღმდეგე მოუსპიათ, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, დაიღუპნენ უთანასწორო ბრძოლაში.

ნათელი დადგეთ მათ კაცურ კაცობას.

ლაშა კოპალიანი
პირველი ბატალიონის პირველი ასეულის პირველი ოცეულის მეთაური.

გმირები — ჩვენს გვერდით

„აფხაზეთმა“ თვითმფრინავებმა, როგორც ამას რუსეთის ტელევიზია აცხადებს, 15-16 მარტს რამდენჯერმე დაბომბეს ჩვენი პოზიციები და ამით აფხაზ სეპარატისტთა ჯარს და დაქირავებულ გადამთიელებს საშუალება მისცეს შემოპარულიყვნენ ჩვენს პოზიციებში. ბოევიკები მიმოფანტულან ციტრუსოვანთა პლანტაციებში, შეპარულან აფხაზთა და სომეხთა საცხოვრებელ სახლებში, დაქირავებულ წარმოება-დაწესებულებაში და უცდიდნენ მათთვის ხელსაყრელ დროს — ჯგუფ-ჯგუფად. ერთდროულად, მოულოდნელად გაეხსნათ ჩვენთვის ცეცხლი.

მტრის განაზრახი დროულად შეეამჩნიეთ და მოვემზადეთ საპასუხო მოქმედებისათვის — უნდა გაგვეწმინდა ჩვენი პოზიციები მომხდურებისაგან. ასეულის მეთაურმა ვახტანგ კილასონიძემ ოცეულის მეთაურებს მოგვცა კონკრეტული დავალება და დაგვისახა საომარი მოქმედების გეგმა.

ჩვენი ჯგუფი წავიდა ერთი სახლის გასაწმენდად. რომლის მეორე სართულზე 20-მდე ბოევიკი დამალულიყო. მოვახერხეთ ამ სახლის პირველი სართულის დაკავება და წინადადება შევიტანეთ მტერს დანებებულიყო და სიცოცხლე გარანტირებული ექნებოდა. პასუხად მათ ტყვიები დაგვიშინეს და ზემოდან ჩამოგვიგდეს ხელყუმბარა, რომელსაც ახლად დაჭრილმა ასეულის მეთაურის მოადგილემ თემურ ლუკავამ ელვის სისწრაფით დაავლო ხელი და სახლიდან 30 მეტრზე ისროლა. ყუმბარა ჰაერში გაჩერდა. ამასობაში ჩამოვიდეს მეორე ხელყუმბარა. ამასაც დაავლო ხელი თემურ ლუკავამ და მეორე სართულზე ააგდო, იგი იქ აფეთქდა და აფხაზ ბოევიკთა დიდი ნაწილი გაწყდა. ამას დაემატა ჩვენგან საპასუხო ცეცხლი და ზემო სართულზე ყველა ერთიანად გაიხრიხა.

თემურ ლუკავას გამბედაობა, საჭრელობა, მამაცობა და თავგანწირვა უამბოლოა ძალიან ომების ისტორიაში. მისმა გმირობამ გადაგვარჩინა თანამებრძოლები და მოსახლეობა.

აფხაზების მეორე ჯგუფი დამალულიყო ჩვენს პოზიციებზე. მდგარი აფხაზის სახლის შენობაში, რომლის გაწმენდის დროს გმირულად დაიღუპა ყველა თანამებრძოლისთვის საყვარული, მამაცი, უბრალო და დიდად განათლებული პიროვნება ასეულის ყოფილი მეთაური, ბესო ბერია. აქვე დავკარგეთ თამარ მეფის ქუჩაზე მცხოვრები, 47 წლის ალექსანდრე ბერიძე, რომელმაც ხელყუმბარით აიფეთქა თავი აფხაზ მეომართა ჯგუფთან ერთად.

აფხაზთა და მათ მიერ დაქირავებულთა მიერ განხორციელებულ, მზაკვრულ, საკუთარი თავისა და ერის დამღუპველ ოპერაციაში შეუდრეკელი სიმამაცე გამოიჩინეს ნიკოლოზ გაბუნიამ, ნუგზარ ჩიხლაძემ, სოსო ფანცულაიამ, ვეტალი ჯელიამ, გია გბუნიამ, გოგი ცირამუამ, შაბუკა თოდუამ და ყველამ, ბრძოლაც ვაჟკაცურად მოვიგეთ.

შეტაკებაში მამულის დამცველი გმირები იდგნენ.

გოჩა გელაშვილი,
მესამე ბატალიონის მეორე ასეულის მესამე ოცეულის მეთაური

მამულს ვიცავთ

სოფელი აჩადარა გუმისთის პარტეხა სანაპირობზეა გაშლილი. საკუთარი ოფლით და გარჯით, შეძლებულად გაკეთებულიყო. არავინი არაფერი გვმარიებდა და არც არავის ირაფერს ეელაპარაკებოდით. ყველა ერის წარმომადგენლები ერთმანეთში თანხმობით და ერთსულოვნებით ვცხოვრობდით.

დიდი უბედურება დაგვატეხეს თავს ვ. არძინბამ და მისმა ბრიგადამ — შემოგვიხვიეს მთელი აფხაზები და გადამთიელ-დაქირავებული მკელელები. ისინი ჩვენს ეზოკარს, მამულს გვედაგებიან. შედეგად აჩადარა ბრძოლის ველი გახდა. გვიბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას, გვინგრევენ სახლკარს.

აჩადარის ყოველი მცხოვრები ბარბაროსთა წინააღმდეგ ომშია ჩაბმული. სხვა გამოსავალი ჩვენ არ გვაქვს. გვეხმარება მთელი საქართველო — ქართველები იცავენ ქართველებს.

შავად გაუთენდა 16 მარტის და შემდგომი დღეები აფხაზ ბოევიკებს, რომლებიც ქვრდულად დაგვესხნენ თავს. ჩვენი ვეფხვივით ვაჟკაცები ეკვეთნენ მომხდურთ და შავბნელი დღე დავუყენეთ. ვინც თავს დაგვეხეხა, არცერთი ცოცხალი არ დარჩენილა — მტერს დავუხვდით მტრულად და ერთიანად გავანადგურეთ.

ანზორ შვანია,
ბიჯითი მებრძოლი.

ქრისტესეული საყვარელო ძმაებო და შვილებო, მშვიდობა თქვენდა!

ომის ქარცეცხლშია გახვეული აფხაზეთის მიწა, ინგრევა და ნადგურდება კაცის მონაგარი, იღუპებიან ადამიანები. მძიმე და აუტანელია ყოველივე ამის ყურება, მაგრამ სწორედ ასეთ მძიმე წუთებში გვმართებს სულიერი გამაგრება. თავს დატეხილმა უბედურებამ სულიერად არ უნდა დაგვაკნინოს, არ უნდა გაგვაბოროტოს. თუ სისასტიკეზე სისასტიკით ვუპასუხებთ, ამით ჩვენ თავს ბარბაროსებად გამოვაჩენთ. სწორედ ასეთ მძიმე წუთებში გამოიცდება ადამიანური ღირსება, თუ რამდენად შეუძლია მას საკუთარ თავში დაძლიოს მხეცური საწყისი სისხლისმსმელი შურისძიებისა.

მდაბალი ვნებებისაგან თავშეკავებას გვასწავლის უფალი, როდესაც გვეუბნება „გიყვარდეთ მტერნი თქუენი“. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქრისტიანმა ბრძოლაში არ მიიღოს მონაწილეობა, არამედ შეგვაგონებს, რომ არ გვეძულდეს ჩვენი მოწინააღმდეგე.

საუკუნეების მანძილზე მუსულმანთა მიერ ჩვენს მიმართ გამოჩენილ სისასტიკეზე სისასტიკით რომ გვეპასუხა, დღეს სულიერად ღარიბი და უბადრუკი ერი გიქნებოდით. წმინდა მეფე დავთ აღმაშენებელი მუსულმანთა ხელეთში შედიოდა და ამით დაუძინებელი მტრების რელიგიური ჯერჩნობებისადმი პატივისცემას გამოხატავდა. ეს შემწყნარებლობა არ ნიშნავდა მონურ მლიქვნელობას, რამეთუ სწორედ დავით აღმაშენებელმა მიაყენა ყველაზე დიდი დარტყმა მუსულმანურ სამყაროს.

ჭეშმარიტი ქრისტიანი არასოდეს არ ღალატობს რაინდულ თვისებებს და არ ემსგავსება სულმდაბალ არსებას, რომელიც სისხლის აღების ცხოველური ჟინით არის შეპყრობილი. ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის მოკვლა არ არის ცოდვა. ცოდვილია მკვლელობაში ის მეომარი, რომელიც სიძულვილითა და სისასტიკით აღვსილი მოჰკლავს თავის მტერს.

შეიძლება ადამიანი საერთოდ არ მონაწილეობდეს ბრძოლებში და მის გულში მხეცი ცხოვრობდეს. ასეთი ადამიანი წმინდა წერილის მიხედვით მკვლელად ითვლება. წმ. იოანე ღვთისმეტყველი ამბობს — „ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმაი თავისი (მეორე ადამიანი), იგი კაცის მკვლელი არს“ (I იოანე, III, 15).

ომი უდიდესი გამოცდაა ადამიანებისა. ჩვენ, შეიძლება, გმირებად ვიქცეთ. და შეიძლება, წინაპართა სახელის შემარცხვენელი გავხდეთ. ღმერთმა დაგვიფაროს უკანასკნელისაგან. ნუ შევარცხვენთ გმირულად დაღუპული ვაჟკაცების ნათელ სულს, ჩრდილს ნუ მივაყენებთ მათ ხსოვნას!

გვწამდეს, რომ მათი სახით წმინდა სანთლები დაინთო უფლის ტახტის წინაშე.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

+ მეუფე დანიელი,

ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი.

უკვე დროა...

წერილის ავტორი ა. წ. 16 მარტს ბრძოლაში დაიჭრა და მკურნალობს ჰოსპიტალში.

ომი გრძელდება აფხაზეთში. ომი. რომელმაც ბევრ ოჯახს მოუტანა უბედურება ფრონტის ორივე მხარეს. ომი გრძელდება ჩვენთვის დამახასიათებელი დაუწერელი კანონებით: ეს არის მარადიორობა, ოჯახების აწიოკება, ქუჩაში ყაჩაღობა და ა. შ. ამას აკეთებენ ხშირ შემთხვევაში სამხედრო ფორმაში ჩაცმული, შეიარაღებული ახალგაზრდები, რომელთა მოვალეობა სხვა რამაა. რა თქმა უნდა, ისინი ერთეულები არიან, მაგრამ სახელს უტეხენ ათეულებსა და ასეულებს. იმ ერთეულებმა ჯერ კიდევ ვერ გაიგეს, რომ ომი ყველასათვის უბედურებაა და ცეცხლზე ნავთის დასხმა დამღუპველია ერისათვის და მითუმეტეს მშვიდობიანი მოსახლეობისათვის.

ჩვენ ყველას ბევრჯერ გვინახავს ატირებული ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, რომლებიც აწიოკებულნი იყვნენ.

ბოლო დროს გამოჩნდნენ ქუჩაში იარაღზე მონადირენი, რომლებიც ღამის საათებში თავს ესხმიან ქუჩაში მიმავალ მეომრებს. ძალით არომეკენ იარაღს და იმალებიან.

ზემოთ აღნიშნულიდან გვებადება აზრი: სად იმყოფებიან ისინი, ვისაც ევალება ამგვარ დანაშაულობათა აღკვეთა. სოხუმის გარნიზონში დიდი ხანია მოქმედებს კომენდანტის საათი, მაგრამ სამწუხაროდ იგი დარჩა ქაღალდზე. მისი პრაქტიკული შემსრულებლები არსად ჩანან, რაც იწვევს სრულ განუკითხაობას.

მებრძოლების სახელით მივმართავთ ყველას, ვინც ბოლოს და ბოლოს უნდა დაამყაროს წესრიგი ქალაქსა თუ რაიონებში, — დროა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოსა და ერის წინაშე.

გიორგი ფანჩვიძე.

23-ე ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის მეთაურის მოადგილე ალმზრდელობით დარგში.

რედაქტორი

იპოლიტე ხუბუა.

მამუკა ბუცხრიკიძე

აფხაზეთში დატრიალებულმა უბედურებამ დაურღვია მყუდროება ბუცხრიკიძეების წყნარ, უხმაურო ოჯახს. როცა გვარის ერთადერთმა გამგრძელებელმა ვაჟმა, მესამე კურსის სტუდენტმა მამუკამ ქართულ გვარდიაში შესვლის სურვილი გამოთქვა. მშობლებს გული ეტკინათ, მაგრამ რომელი ჭეშმარიტი ქართველი დაუშლიდა შვილს სამშობლოს საფარაჯოზე დადგომას.

ექვსი თვე იცავდა მამუკა წოსტმის მისადგომებს ყველაზე ცხელ წერტილში. ყოველთვის წინა ხაზზე ტრიალებდა და თანამებრძოლების სული და გული იყო. ერთხელ დაჭრილმა გამოჯანმრთელებამდე დასტოვა საავადმყოფო და ისევ წინა ხაზს მიაშურა. თავმდაბალი, კეთილი, გულისხმიერი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ყველას ძალიან უყვარდა, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სიცოცხლე. 31 მარტს შეუსრულდებოდა 23 წელი, 16 მარტი კი სიბედისწერად მოჩანდა მისთვის. წავიდა ისე, როგორც ჭეშმარიტი რაინდი, ნამდვილ ქართველი.

თანამებრძოლები

ლევან გვარამია

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის პირველი დღეებიდანვე შენ, ჩვენო ლევან მოხალისედ შეხვედი ქართულ გვარდიაში. იყავი საკომენდანტო ასეულის წევრი. სხვადასხვა ცხელ წერტილებში ბრძოლებგადახდილი მტრის ტყვიამ არ დაგინდო ზეგანის მისადგომებთან (სოფელ შრომის რაიონში).

მძიმე ბრძოლებში ყოველთვის გამოირჩეოდი ვაჟკაცობით. თავს არ ზოგავდი. მეგობრებზე ფიქრობდი

რამდენი სიკეთის მოტანა შეგეძლო სამშობლოსათვის. მაგრამ შენი წვლილი სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში შენ უკვე შეიტანე.

შენი სახელი უკვდავია აწ და მარადის. წათელში გამყოფოს ზეციერმა ჩვენო ძმაო და მეგობარო, ლევან.

თანამებრძოლები



შოთა (გვადი) შარტავა

42 წელი ადამიანის სიცოცხლის გაზაფხულია. სწორედ აქ შეწყდა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე — გუმისთაზე მძიმე ბრძოლებში დაიღუპა ქართველი ვაჟკაცი — ოჯახის, მეგობრების, ერის ქომაგი, პატიოსნებისა და კაცთმოყვარეობის განსახიერება — შოთა (გვადი) შოთას ძე შარტავა. ბევრი რამ მოასწრო მან ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. 1971 წელს თბილისის ხალხთმეცნიერების უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაიგზავნა ქ. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც ნაკიერმა და ზრომისმოყვარე ახალგაზრდამ კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მაგრამ სამეცნიერო კვლევა-ძიებას აგრძელებდა. სამწუხაროდ. დაუმთავრებელი დარჩა, მნიშვნელოვანი მეცნიერული ჩანაფიქრი.

შოთას ლამაზი სულიერი სამყარო სახლობდა ჯანსაღ, ფიზიკურად ძლიერ სხეულში. ის სრულყოფილად ფლობდა სპორტის ისეთ რთულ სახეობას როგორიცაა კარატე. არაერთი ცნობილი კარატისტი აღიზარდა მის ხელში.

ღრმად ინტელექტუალური, თავმდაბალი ადამიანის, ერთგული მეგობრის, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მეომრის შოთა შარტავას ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ნაცნობ-მეგობრების გულში.

მსუბუქი იყოს ქართული მიწა მისთვის.

თანამებრძოლები

მამუკა მიქავა

გვაძძიმს დაჯერება იმისა, რომ ვეღარ გიხილავთ, ჩვენო საყვარელო მამუკა.

დიდმა მწუხარებამ მოგვიცვა შენი მეგობრები და მით უმეტეს ჩვენ, ვინც შენთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიდექით სოხუმის მისადგომებთან. მტერი არ შემოვუშვით, მაგრამ შენი და შენთან დაცემული ჩვენი ბიჭების სიცოცხლის ფასად...

მართალია შენი პატარები ფრიდონი და სანდრო მამის სითბოს მოკლებულნი გაიზრდებიან, მაგრამ გჯეროდეს მუდამ ეხსომებათ შენი გმირული თავგანწირვა. ამ მძიმე დღეებში გამაგრება მართებს შენს საყვარელ, უდროოდ დაქვრივებულ მეუღლეს ელისოს.

შენი ვაჟკაცური ბუნების დასტურია, რომ სამხედრო პოლიციის დაარსებისთანავე ბატალიონის მეთაურის მოადგილედ დაინიშნე. ყველგან და ყოველთვის უღალატო მეგობარი და ახლობლების ჭირში თანამდგომი იყავი. მაგრამ სიცოცხლე არ დაგცალდა. 11 მაისს ხომ 29 წლის გახდებოდი.

შენი სახელი უკვდავია ჩვენთვის. ნათელში გაუყოფოს ზეციერმა ჩვენო საყვარელო მამუკა.

თანამებრძოლები

ვახტანგ ლოჩოშვილი

15 მარტს ფრონტის წინა ხაზზე, მდინარე გუმისთაზე აფხაზ სეპარატისტების ტყვიით განგმირა უფროსი ლეიტენანტი 33 წლის, გულრიფშელი ჭაბუკი ვახტანგ ლოჩოშელი.

დიდი დანაკლისი განიცადა მე-6 ცალკეულმა სატანკო ბატალიონმა, სადაც ვახტანგი საფინანსო სამსახურის უფროსი იყო. ვახტანგი 18 აგვისტოდან იბრძოდა საქართველოს მთლიანობისათვის. შინ დარჩა დედა, მეუღლე და ორი შვილი — ქალ-ვაჟი, ჯერ კიდევ პატარები. ბავშვებს და ოჯახს შენი სახით დაკლდა მზრუნველი შვილის, მამის ხელი და ალერსი.

პროფესიით ეკონომისტს, სადაც კი გიმუშავნია, სოხუმის სახლთსაშენებელ კომბინატში თუ გულრიფშის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მთავარ ეკონომისტად, ყველგან კეთილი კვალი დაგიტოვებია.

სამშობლოსათვის თავდადებულო ვაჟკაცო, მსუბუქი იყოს შენს მკერდზე წაადრევად მიყრილი მშობლიური მიწა. ჩვენ კი, შენი ბატალიონის თანამებრძოლები შენს საფლავზე დადებულ ფიცს — შური ვიძიოთ შენს წილ სიცოცხლეზე, უთუოდ შეეასრულებთ.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო.

თანამებრძოლები

გაზეთი იბეჭდება აფხაზეთის პოლიგრაფიული გაერთიანების საგაზეთო სტამბაში, ფრუნზეს ქ. № 9.